ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 28 აპრილი 2006 №94 (2716) ფასი 50 თეთრი

# ასე არ შეიძლება!
## გაღვითლებულმა ნაკრებმა ტოპმიოლერი გააბრაზა

გუშინწინ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა მალტას 2:1 მოუგო და იმ ზესტაფონურ მატჩს ეროვნული გუნდის თავკაცი კლაუს ტოპმიოლერიც ადევნებდა თვალს.



თვალის დევნება ერთია, მაგრამ ქვეყნის მთავარი ნაკრების მწვრთნელი მატჩამდე ვარჯიშსაც რომ ჩაატარებს და რჩევა-დარიგებებსაც არ მოაკლებს ეროვნული გუნდის მომავალს — მეორე.

რა დაინახა ტოპმიოლერმა რალფ მინგეს გუნდში? ვფიქრობთ, მისი კომენტარი, სხვა თუ არაფერი, ამითაცაა საინტერესო.

კლაუს ტოპმიოლერს გუშინ ვესაუბრეთ...

— მალტასთან მატჩზე რას იტყვით?

— მინდა, გითხრათ, რომ ძალიან კარგი თამაში იყო, კმაყოფილი ვარ ბიჭების გარჯით. ერთი სიტყვით, ნაკრებმა ამ ეტაპზე ჩემი და რალფ მინგეს იმედები გაამართლა, თუმცა სამუშაოც რომ ბევრია, ესეც ფაქტია.

— ახალგაზრდულ ნაკრებს კვლავ გაუძევეს ფეხბურთელი. ამაზე რას იტყვით, გუნდში დისციპლინა მოიკოჭლებს?

— სამწუხაროდ, ასეა და ეს მარტო ახალგაზრდულის პრობლემა არაა, დისციპლინის საკითხი ეროვნულ ნაკრებშიც მწვავეა. ჩემთვის ეს ძალიან დიდი მოულოდნელობა და არასასიამოვნო სიურპრიზი იყო. ეს ყველაფერი კი იმის მაუწყებელია, რომ ამ მხრივ საკმაოდ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი, როგორც ახალგაზრდულში, ისე ეროვნულში. წარმატების ერთ-ერთი საიდუმლო გუნდურ დისციპლინაშიცაა.

— ადრე თქვით, ეროვნული ნაკრებისთვის ამ დროისთვის მხოლოდ ოთარ მარცვალაძე და ჯაბა კანკავა არიან მზადო. ზესტაფონური მატჩის შემდეგ მათ კიდევ შეემატა ვინმე?

— მხოლოდ მეკარე ნუკრი რევიშვილი. ჯერჯერობით უახლოეს შეკრებაზე მხოლოდ ამ სამეულს მივიწვევ. მინდა ვთქვა, რომ რევიშვილი ძალიან ნიჭიერია.

— მალტასთან მატჩამდე რალფ მინგეს ვარჯიშებზე აქტიურად ეხმარებოდით, თამაშისას კი სათადარიგოთა სკამზე იჯექით. ახალგაზრდული ნაკრების გაწვრთნაში მომავალშიც მიიღებთ მონაწილეობას?

— რა თქმა უნდა. ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ვალდებულნიც ვართ, ერთმანეთს დავეხმაროთ, ჩვენ ხომ ერთ საქმეს ვაკეთებთ.

— 4-3-3 თქვენი საყვარელი სქემაა. მალტასთან მინგეს გუნდმაც ამ სისტემით ითამაშა. გამოდის, საქართველოს ყველა ასაკობრივი ნაკრები ამ ტაქტიკით ითამაშებს?

— ამის ძალიან დიდი სურვილი გვაქვს და ვნახოთ...

— ამ სქემას ფლანგებზე სწრაფად მოთამაშე ფეხბურთელები სჭირდება. არიან ასეთები?

— უახლოეს მატჩამდე ეროვნულ ნაკრებს დაახლოებით ორი კვირა აქვს მოსამზადებლად და ვეცდებით, ამ ხნის მანძილზე მოვძებნოთ სწრაფი ფეხბურთელები. „ვოლფსბურგში" მოთამაშე ლევან ცქიტიშვილის ძალიან მეიმედებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ლევანი ახლა ტრავმირებულია და საოპერაციოა. ვნახოთ, რა და როგორ იქნება, მაგრამ ის კი ფაქტია, ნაკრებისთვის 4-3-3 მართლაც იდეალურ სქემად მესახება.

— ხვალ საქართველოს ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩებია. რომელიმე თამაშზე თუ აპირებთ დასწრებას?

— სამწუხაროდ, ამ უქმეებზე თამაშებისთვის ველარ მოვიცლი. გარკვეული საკითხების მოსაგვარებლად ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ რევაზ არველაძესთან ერთად მომიწევს ყოფნა.

**ნინო სილაგაძე**



# უეფა აღარ ხუმრობს
## კობიაშვილი და შალკე ხაფანგში ჩარჩნენ

# დიდი ფილი და დიდი ფული

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის შეფი ბრაიან ბერვიკი გუშინ ლისაბონში ლუიშ ფელიპე სკოლარის შეხვდა და ინგლისის ნაკრების მწვრთნელობა შესთავაზა. ბერვიკმა ინგლისურ მედიასთან საუბარში ეს ამბავი დაადასტურა, ხოლო ბრაზილიელი ჯერ არაფერს ამბობს. ინგლისელები სკოლარის წელიწადში 5 მილიონ გირვანქას სთავაზობენ.



# უეფას თასი 2005-2006
## ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები. ტუხელ

*მიდლსბრო (ინგლისი)* 4:2 სტიაუა (რუმინეთი) (0:1)

0:1 დიკა (16), 0:2 გოიანი (24), 1:2 მაკარონე (33), 2:2 ვიდუკა (64), 3:2 რიგოტი (73), 4:2 მაკარონე (89)

მიდლსბრო: ჯონსი, რიგოტი, საუთგეიტი (მაკარონე 26), კედრუ, პარნაბი, როჩემბაკი, ბოატენგი, დაუნინგი, ე. ტეილორი (აიეგბენი 55), ვიდუკა, ჰასელბაინკი (ეჰიოგუ 90)

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

სტიაუა: კარლოსი, ოგარარუ, გიონია, გოიანი, პ. მარინი, ოპრიტა (ბაჩიუ 81), რადოი, ლოვინი, ბოსტინა (ნესუ 87), ნ. დიკა, იაკობი (ბალანი 65)

მწვრთნელი: აურელიან კოზმინ ოლაროიუ

გაფრთხილება: ბოატენგი, ჰასელბაინკი, დიკა, ბალანი, ლოვინი

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

34 622 მაყურებელი

*სევილია (ესპანეთი)* 1:0დ.დ. შალკე (გერმანია) (0:0)

1:0 პუერტა (101)

სევილია: პალოპი, დანიელ ალვესი, აიტორ ოსიო, ესკუდე, დავიდ კასტედო, ხესუს ნავასი, მარტი, მარესკა, ადრიანო კორეირა (პუერტა 77), ლუის ფაბიანო (რენატო 99), სავიოლა (მაკუკულა 107)

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

შალკე: როსტი, რაფინია, ბორდონი, როდრიგესი (ლარსენი 82), ქობიაშვილი, პოულსენი, ერნსტი, ასამოა (სანდი 90), ლინკოლნი, ბაირამოვიჩი (ვარელა 62), კურანი

მწვრთნელი: მირკო სლომკა

გაფრთხილება: კურანი, როდრიგესი, პუერტა, ვარელა, ერნსტი, დანიელ ალვესი, მაკუკულა

მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

25 000 მაყურებელი

**ფინალი: 10 მაისი, ეინდჰოვენი**
**მიდლსბრო — სევილია**



მიდლსბრო — სტიაუა. მასიმო მაკარონემ და მისმა თანაგუნდელებმა სასწაული მოახდინეს

## შვედეთი

სუპერეტა. II ტური

დეგერფორსი 1:0 ვასბი

## დანია

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩები

ოლბორგი 1:1 *რანდერსი* (0:0)

ბრონდბიუ 1:0 *ესბიერგი* (2:5)

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა
II ტური

ჰიკ 0:1 ლაჰტი

მარიეჰამნი 1:2 ჰონკა

ინტერი 0:1 ტამპერე

კუოპიო 1:1 კტპ

ჰაკა 0:1 ტურკუ

**საქართველოს ჩემპიონატი — პირველი ლიგა — 17 — მეორე წრე**

XXXI ტური

27 აპრილი, ხუთშაბათი

საგარეჯო 1:1 მეშახტე
რუსთავი 1:2 გურია
მერანი 3:1 მაღაროელი
იმედი 1:3 გაგრა
ვიტ ჯორჯია 2 0:0 ამერი 2
დინამო 2 1:0 მესხეთი
ზუგდიდი 1:0 ზესტაფონი 2
ლიახვი 2:3 მეშაქრე
თბილისი 2 1:3 ჩიხურა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 31 | 22 | 5 | 4 | 82:31 | 71 |
| მერანი | 31 | 21 | 5 | 5 | 53:22 | 68 |
| გაგრა | 31 | 18 | 9 | 4 | 45:19 | 63 |
| დინამო 2 | 31 | 17 | 7 | 7 | 53:22 | 58 |
| ამერი 2 | 31 | 14 | 8 | 9 | 37:24 | 50 |
| მეშაქრე | 30 | 15 | 4 | 11 | 42:31 | 49 |
| მესხეთი | 31 | 14 | 6 | 11 | 41:28 | 48 |
| რუსთავი | 31 | 13 | 9 | 9 | 45:30 | 48 |
| გურია | 30 | 13 | 5 | 12 | 43:39 | 44 |
| ზუგდიდი | 31 | 11 | 7 | 13 | 19:26 | 40 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 31 | 11 | 6 | 14 | 37:39 | 39 |
| თბილისი 2 | 31 | 10 | 8 | 13 | 27:37 | 38 |
| მეშახტე | 31 | 9 | 9 | 13 | 32:38 | 36 |
| მაღაროელი | 31 | 9 | 6 | 16 | 36:54 | 33 |
| ზესტაფონი 2 | 31 | 8 | 8 | 15 | 22:41 | 32 |
| საგარეჯო | 31 | 7 | 9 | 15 | 27:41 | 30 |
| იმედი | 31 | 5 | 2 | 24 | 18:77 | 17 |
| ლიახვი | 31 | 4 | 1 | 26 | 23:83 | 13 |

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს
უცხადებს მსაჯ გოჩა ცირდავას
დედის
გარდაცვალების გამო

სარბიელელები თანაგრძნობას
ვუცხადებთ მსაჯ გოჩა ცირდავას
დედის
გარდაცვალების გამო

# ფულემი ფულს გამოძებნის
## ლონდონელებს არველაძე სურთ



**ინგლისური** „ფულემი“ შოთა არველაძის გადაბირებითაა დაინტერესებული და ლონდონელები ყაბულს არიან, „ალკმაარს“ არველაძეში სატრანსფერო თანხა გადაუხადონ.

„ფულემი“ პრემიერლიგაში ახლა მე-15 ადგილზეა, არგავარდნისათვის იბრძვის და თუ მიზანს მიაღწევს, ალბათ, არველაძეც დაფიქრდება „ფულემში“ გადასვლაზე.

ინგლისელებს ოფიციალური მოლაპარაკება ჯერ არ დაუწყიათ არც არველაძესთან და არც „ალკმაართან“, მაგრამ ჩვენებურის ყიდვა რომ სურთ, ფაქტია.

არველაძემ წინა კვირას დასრულებულ ჰოლანდიის ჩემპიონატში 23 გოლი გაიტანა და მეგოლეებში მხოლოდ აიაქსელ კლას-იან ჰუნტელაარს ჩამორჩა. არველაძეს „ალკმაართან“ კონტრაქტით კიდევ ერთი წელი აკავშირებს.

შოთა 33 წლისაა და ბრიტანეთში თამაში მისთვის უცხო სულაც არაა — 2001-2005 წლებში ის „გლაზგო რეინჯერსის“ ერთ-ერთი ლიდერი იყო.

**კახა შალამბერიძე**

# ბურდულისთვის დრომ აუჩქარა
## რუსეთი, გერმანია, სკანდინავია...
## სადაც არ უნდა წავიდე, ყველაზე უფრო დინამო მეყვარება



თბილისის „დინამო“ ერთი ხანობა მეექვსე ადგილამდე დაეშვა, ახლა კი მესამე საფეხურზეა და შედარებით უკეთესადაც ათამაშდა. მკვეთრად უკეთესად ათამაშდა დინამოელი ლადო ბურდულიც, ვინც მაშინ დაბრუნდა „დინამოში“, მეორე წრე უკვე დანყებული რომ იყო.

25 წლის ბურდულს ეროვნულ ნაკრებში 15 მატჩი ჩაუტარებია და 2 გოლი გაუტანია, ის სტრატეგიულად კვლავაც მნიშვნელოვანი ფეხბურთელია ნაკრებისთვის თუნდაც იმიტომ, რომ მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე კლაუს ტოპმიოლერს დიდი არჩევანი არ აქვს...

— „დინამოში“ რომ დაბრუნდი იძულებითი პაუზის გამო კარგ ფორმაში არ იყავი, ბოლო დროს კი ჯანზე ხარ და გოლებიც გაგაქვს — უკვე მიუახლოვდი ოპტიმალურ ფორმას?

— ფორმა სრულად ჯერ არ აღმიდგენია, მაღალ ტემპში მთელი 90 წუთი თამაში ჯერაც მიჭირს, თორემ ბურთთან „ურთიერთობაში“ პრობლემა არ მაქვს. ვგრძნობ, რომ უკვე ფორმაში შევდივარ. უთამაშებლობის გამო ბევრი გამიცდა და ისიცაა, რომ მოსამზადებელი ეტაპი არ გამივლია. ზამთარში მოსკოვის ცსკა-ში თითქმის ორი კვირა კი ვივარჯიშე, მაგრამ მერე იძულებითმა შესვენებამ მომიწია. მოკლედ, ახლა ის საფუძველი არ მაქვს, რაც სრულფასოვან მოსამზადებელ შეკრებას მოაქვს.

— სეზონის დასრულების შემდეგ „დინამოში“ ალბათ აღარ დარჩები...

— ეგრეა, ალბათ წავალ, უკვე არის რაღაც ვარიანტები.

— „ალანიადან“ წამოსვლის შემდეგ დანიურ „ორჰუსში“ გადასვლის ვარიანტი გქონდა — რატომ იუარე იქ წასვლა?

— უარი არ მითქვამს, „ორჰუსში“ არწასვლის მიზეზი ის იყო, რომ „ალანია“ ჩემში ფულს ითხოვდა, თანაც დიდძალს.

— სად აპირებ წასვლას, რომელ ქვეყანაში?

— არის დაინტერესება რუსეთიდან, სკანდინავიიდან, გერმანიიდან და უკრაინიდან. „დინამოში“ სეზონი რომ დამთავრდება, არ დავისვენებ, ვარჯიშს გავაგრძელებ, რათა ახალ გუნდში გადასვლისას ნორმალურ ფორმაში ვიყო.

— შევიტყვეთ, რომ კლაუს ტოპმიოლერი კარგი თვალით გიყურებს...

— ნაკრების მწვრთნელთაგან ჩემთან ჯერ არავის უსაუბრია. იმედი მაქვს, 31 მაისს პარაგვაისთან ამხანაგური მატჩისთვის ნაკრებში გამომიძახებენ, მთავარია, ჯანმრთელობამ შემიწყოს ხელი.

— შარშანწინ „დინამოდან“ „ალანიაში“ გადახვედი — ახლანდელი გადასახედიდან, როგორ შეაფასებდი ასეთ გადაწყვეტილებას?

— „დინამოს“ იმდროინდელი მთავარი მწვრთნელი არ მათამაშებდა და გამოჩნდა ისეთი კლუბი, რომელიც ჩემში ფულს უხდიდა „დინამოს“, თანაც რუსული პრემიერლიგა სერიოზული ჩემპიონატია და იქ პრაქტიკის მიღება ურიგო ნამდვილად არ არის. იმ პერიოდში ყველაფერს ბოლომდე მე ვერ ვწყვეტდი, ახლა კი, როცა სეზონი დამთავრდება, ყველაფერი მხოლოდ ჩემი და ჩემი მოსურნე კლუბის გადასაწყვეტი იქნება.

— ახლანდელ „დინამოზე“ რას იტყოდი? გუნდი თასის გათამაშებას გამოეთიშა და ჩემპიონობისთვის ვერ იბრძვის...

— სადაც არ უნდა წავიდე, ყველაზე უფრო მაინც „დინამო“ მეყვარება. გული მწყდება, გუნდს ასეთი ცუდი შედეგი რომ აქვს. ამ დროისთვის კი სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალა. მეორე წრე ასე რომ დაგვეწყო, ასეთი ცუდი შედეგი არ გვექნებოდა. ამ მომენტისთვის მწვრთნელმაც ალღო აუღო ყველაფერს. „დინამოს“ უკეთესი შედეგი რომ ჰქონოდა, ამისთვის დრო იყო საჭირო.

— 25 წლის ხარ და გრძნობ, რომ უკვე კარიერის პიკი დაგიდგა?

— როგორ გითხრათ, ახლა ცოტა სხვანაირად ვუყურებ ყველაფერს, გამოცდილებას ვიყენებ და ფეხბურთისადმი განსხვავებული ხედვაც მაქვს — დრო გარბის და ძალიან მონდომებული ვარ, სრულიად დავიხარჯო. ფეხბურთელობა ჩემთვის არავის დაუძალებია და მაქსიმალურად უნდა გამოვიყენო დრო. იმისთვის, რაც ძალიან მიყვარს, ყველაფერი უნდა მოვასწრო.

**დავით თავართქილაძე**



ლუტფი არიბოგანი

# თურქებს თბილისი ჩაეშალათ

**თბილისს** ორი დღით სტუმრობდა თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ლუტფი არიბოგანი.

მოგეხსენებათ, ჩვენს მეზობლებს უეფამ ექვსმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა და ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ საშინაო შეხვედრებს თურქები ნეიტრალურ მოედანზე გამართავენ. ერთ-ერთ სავარაუდო ვარიანტად კი თბილისი განიხილებოდა.

შესარჩევი ციკლის კალენდრის შედგენის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჩვენი და თურქების ნაკრებთა საშინაო მატჩები ერთმანეთს ორ შემთხვევაში არ ემთხვეოდა. შესაბამისად, თურქებს შანსი ჰქონდათ მალტელებისა და უნგრელებისთვის თბილისში ემასპინძლათ. ოღონდ, აქ უკვე უეფას მეორე შეზღუდვა ჩაერთო საქმეში — მატჩი დისკვალიფიცირებული ქვეყნის საზღვრიდან სულ მცირე 500 კილომეტრით დაშორებულ სტადიონზე უნდა გაიმართოს, თურქეთის საზღვრიდან თბილისამდე კი ამხელა მანძილი არ არის.

ისე, ახია თურქებზე — რა ძალა ედგათ, ტაო-კლარჯეთს რომ გვეცილებოდნენ, ახლა ხომ თბილისიდან თურქეთის საზღვრამდე „კაკ მინიმუმ“ 800 კილომეტრი იქნებოდა...

**გიორგი ნოზაძე**

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
25 თეთრად

საქართველოს რეგიონებში
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
12 თეთრად

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

სიახლე
ჯეოსელისგან
ჯეო-მიქსი!

GEO MIX *123#
ჯეო მიქსი

აკრიფეთ
*123*9# YES
და
მომენტალურად
დაადგინეთ
მიმდინარე
საფეხბურთო
მატჩების ანგარიშები

SCORE LIVE

wap.geocell.com.ge

# გერმანული თარგი და ქართული თადარიგი

აქაც და შემდგომშიც, რალფ მინგეს სამწვრთნელო მეთოდიკასა თუ ტაქტიკურ მონახაზზე საუბრისას თავისუფლად შეგვიძლია კლაუს ტოპმიოლერიც ვიგულისხმოთ — ზესტაფონურმა მატჩმა დაადასტურა, რომ ქართულ სანაკრებო ფეხბურთს ერთიანი გუნდი ხელმძღვანელობს და კლაუს ტოპმიოლერი ეროვნულის გარდა, ასაკობრივ გუნდებშიც განსაზღვრავს თამაშის წესებს.

ტოპმიოლერმა ჩვენთან ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, გამარჯვების საწინდარი კარგად ორგანიზებული დაცვააო. ჰერ კლაუსმა ისიც განაცხადა, ყველა ქართულ ნაკრებს ერთნაირი სათამაშო სტილი უნდა ჰქონდეს, რომ ახალგაზრდულის მოთამაშეს ეროვნულთან ადაპტაცია არ გაუჭირდესო. მისი საყვარელი სათამაშო სქემაც არ არის საიდუმლო — 4-3-3. ამ მაქსიმალურად შემტევი სქემის ამოსავალი წერტილი კი არა სამკაციანი თავდასხმა, არამედ ხაზზე მოთამაშე ოთხკაციანი დაცვაა. განაპირა მცველებმა ნახევარდაცვის ფლანგებზე წარმოქმნილი თავისუფალი სივრცეებიც მაქსიმალურად უნდა ამოავსონ, რაც კარგი ფიზიკური მონაცემების გარდა, ტაქტიკური თუ ტექნიკური წუნის მინიმუმამდე დაყვანასაც მოითხოვს. ზესტაფონური მატჩის დასრულების შემდეგ ამაზე რალფ მინგემაც გაამახვილა ყურადღება.

ორი ზესტაფონური ტაიმის განმავლობაში დაცვის ფლანგი სულ ორჯერ ჩავარდა. შედეგად, ნაკრებმა ერთი გოლი გაუშვა, როცა ფლანგური გადაცემა სტუმარმა ფეხბურთელმა თითქმის ცარიელ კარში გოლით დააგვირგვინა, მეორედ კი ნუკრი რევიშვილმა ანგარიშის გათანაბრებისგან იხსნა გუნდი.

**გერმანულმა სამწვრთნელო სკოლამ პირველი ქართული გამარჯვება მიითვალა — მალტის ნაკრების ორმატჩიან დუელში დამარცხება დითირამბების საბაბი ნაკლებად შეიძლება იყოს, მაგრამ წარმატებული დასაწყისი ნებისმიერ საქმეში მნიშვნელოვანია. ამჯერად არა მალტის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩის პერიპეტიებზე, არამედ რამდენიმე ნიშანდობლივ გარემოებაზე გავამახვილებთ ყურადღებას...**



განაპირა მცველები ერთია და ჩვენს კლუბებში არც ტიპიური გარემარბების დიდი არჩევანია... 4-4-2, 3-5-2, 4-5-1 — ქართველი მწვრთნელების მიერ ასე თუ ისე აპრობირებული სქემებია და ჩვენი ფეხბურთელებიც მორგებულნი არიან ამ სქემით თამაშს. მაგრამ უკვე ხვალ და ზეგ, როცა სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში ჰერბერტ ცინკერს, ჰაინც ტოპმიოლერს თუ რალფ მინგეს საკადრო პრობლემა დაუდგებათ, აშკარად გაუჭირდებათ შესაბამისი კადრების მოძიება. არადა, ქართველებს 4-3-3 სქემით თამაში რომ შეუძლიათ, ფაქტია. გაიხსენეთ თუნდაც ორი წლის წინანდელი თბილისის „დინამო" — გია გეგუჩაძემ სწორედ ამ იარაღით გაიყვანა გუნდი უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ჩვენი კლუბების მწვრთნელთათვის სემინარს გეგმავს, რომელსაც კლაუს ტოპმიოლერი გაუძღვება. ეს თავისთავად მისასალმებელია, მაგრამ ინიციატივა და ახლის შესწავლის სურვილი თავად მწვრთნელებისგანაც უნდა მოდიოდეს. რამდენი ქართული კლუბის მწვრთნელი დაესწრო შეხვედრას ზესტაფონში? მე პირადად სამი შევნიშნე (კობა ჟორჟიკაშვილს თუ არ ჩავთვლით). ვითომ ზედმეტი იქნებოდა მათთვის გერმანელი მწვრთნელების საქმეში ხილვა?

საკუთარი იდეის თუ სქემის ვინმესთვის თავსმოხვევის უფლება არავის აქვს, მაგრამ ალბათ სასურველია, სანაკრებო ფეხბურთში დაწყებულ პროცესს ჩვენმა კლუბებმაც აუწყონ ფეხი. მხედველობაში იგივე სათამაშო სტილის დანერგვა გვაქვს. თავად გერმანული სკოლის პროგრესულობას რომ თავი დავანებოთ, ეს ხომ იმავე კლუბების ფეხბურთელებს მნიშვნელოვნად შეუმოკლებს გზას ნაკრებამდე. მოიგებს სანაკრებო მხარე, შესაბამისად, მოიგებს ქომაგიც — თუნდაც ისე, როგორც ოთხშაბათს ზესტაფონში...

**გიორგი ნოზაძე**

# ვფიქრობთ ოკუკაზე

## სერია A და ცრვენა ზვეზდები



დრაგომირ ოკუკა

**მალტის** ბარიერი გადალახულია და ახლა უფრო თამამად შეგვიძლია ვილაპარაკოთ სერბეთზე და ლიტვაზე — როგორც იცით, საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებს სწორედ ამ ორ გუნდთან მოუწევს ჭიდილი ივლის-აგვისტოში: ჯერ ლიტვასთან სტუმრად და მერე სერბეთთან შინ.

შეგახსენებთ, ეს სამეული ერთ წრედ ითამაშებს და ჯგუფიდან მხოლოდ გამარჯვებული გავა, სადაც ერთი პლეი ოფილაა გასავლელი ფინალურ ეტაპზე მოხვედრისთვის.

თქმა არ უნდა, სერბეთი ლიტვაზე ძლიერი მეტოქეა და სწორედ ისინი ითვლებიან ჩვენი ჯგუფის ფავორიტებად. ტრადიციულად, სამხრეთელ სლავებს ახალგაზრდულ ასაკში ყოველთვის კარგი გუნდი ჰყავდათ და ტალანტები ხვინჭასავით მოსდიან, ეგეც არ იყოს, სერბეთი 2004 წლის ევროჩემპიონატის ფინალისტია — იტალიასთან 0:3 წააგო, თუმცა ოლიმპიადაზე მოხვდა და იქ უკვე ჯგუფის სამივე მატჩში გაცამტვერდა.

სერბეთის 21-წლამდელებს დრაგომირ ოკუკა წვრთნის, მისმა ნაკრებმა ვოივოდინაში რამდენიმე დღის წინ ამხანაგური მატჩი გამართა უნგრელ თანატოლებთან და 1:1 ითამაშა. მადიარებმა პირველი ტაიმი მოიგეს, თუმცა 53-ე წუთზე ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" ფორვარდმა მილან პუროვიჩმა გაათანაბრა.

ქართველთა მომავალმა მეტოქემ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *სტოიკოვიჩი (ვუადინოვიჩი 87), ბისევაცი (მაროვიჩი 46), რნიჩი, ლომიჩი, ტოსიჩი (ტუმბასოვიჩი 87), იანკოვიჩი (ბურზანოვიჩი 66), მილიაში (მარინკოვიჩი 76), მილოვანოვიჩი (პავლოვიჩი 80), კრასიჩი (რაიკოვიჩი 87), პუროვიჩი, ჟუკელია (ლაკიჩი 46).*

დრაგომირ ოკუკამ უნგრელებთან მხოლოდ ერთი ლეგიონერი, მოსკოვის ცსკა-ს ნახევარმცველი მილოშ კრასიჩი ათამაშა, სხვები კი კლუბებმა არ გაუშვეს. ამ შემადგენლობაში „ცრვენა ზვეზდას" ფეხბურთელები სჭარბობენ, ერთი-ორი მოთამაშე კი „პარტიზანიდან" „ბუდუჩნოსტიდან" და „ვოივოდინადანაც" გვხვდება.

რაც შეეხება სხვა ლეგიონერებს, იცოცხლეთ, სერბებს ასე თუ ისე სახელიანი ყმაწვილები არ აკლიათ: მირკო ვუჩინიჩი იტალიური „ლეჩეს" მთავარფორვარდია და მეორე სეზონია, სერია A-ში ბლომად გოლები გააქვს. მილოშ ნინკოვიჩი კიევის „დინამოს" ნახევარმცველია და ძირითადში იშვიათად კი ხვდება, მაგრამ ძალიან პერსპექტიულ ფეხბურთელად მიიჩნევენ. ცენტრალური მცველი დუშან ტოშიჩი ფრანგულ „სოშოშია", ნახევარმცველი მილოშ დიმიტრიევიჩი „ნანტში", ხოლო სიმონ ვუკშევიჩი რუსულ „სატურნში" — სხვათა შორის, ვუკშევიჩის გადაბირებას ევროპული გრანდებიც ცდილობენ, იგი ევრო 2004-ზე 19 წლისა იყო და ნაკრების ერთ-ერთი ლიდერიც გახლდათ.

ვუჩინიჩის გარდა, სერბთა მთავარი ფორვარდი სწორედ უნგრელებთან გოლის გამტანი პუროვიჩია — იგი „ცრვენა ზვეზდაში" თამაშობს და განსაკუთრებით ტექნიკით გამოირჩევა.



მილან პუროვიჩი

სერბთა თავკაცი ოკუკა უნგრეთთან ფრით უკმაყოფილო დარჩა, თუმცა ლეგიონერების არყოფნაზეც დაიჩივლა: „მესმის იმ კლუბების, რომლებმაც ლეგიონერები არ გამოუშვეს, თუმც ოფიციალურ მატჩებში ეს აღარ განმეორდება. მე მხოლოდ ორი ფორვარდი განგებ გამოვიძახე, რათა ისინი 90-90 წუთი მეთამაშებინა. იმედია, ლიტვასთან და საქართველოსთან მატჩებისთვის შეთამაშებას მოვასწრებთ".

**ილია ნანობაშვილი**



ირაკლი მეძმარიაშვილი, კლაუს ანდერსი და ნოდარ ახალკაცი „ეროვნულზე“

# კლაუსს უთქვამს, საიდუმლო შემინახეთო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გუშინ მორიგი სტუმრიანობა იყო. თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის გენმდივნის ვიზიტის თაობაზე უკვე მოგახსენებთ და მის გარდა ფინეთის ფეხბურთის ფედერაციის გენმდივანმაც დაგვდო პატივი. ტეუვო ჰოლოპაინენი უეფას ერთ-ერთი პროგრამის კურატორია საქართველოში და მიზნად ვითარების ადგილზე შესწავლას ისახავდა. სფფ-ში სტუმრობის შემდეგ ფინელმა სტუმარმა ტექნიკური ცენტრი „ბასა“ და ეროვნული სტადიონიც მოინახულა.

ეროვნულ სტადიონს გუშინ კომპანია „ინფრონტის“ წარმომადგენელი კლაუს ანდერსიც ეწვია. ამ კოპანიას საქართველოს ნაკრების საშინაო თამაშების ტრანსლირების უფლება 2011 წლამდე ჰქონდა ნაყიდი და გუშინ ხელშეკრულება კიდევ ორი წლით გახანგრძლივდა. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ქართულ მხარეს შეთანხმების ფინანსური დეტალების გამჟღავნების უფლება არ აქვს, თუმცა ის გაცილებით მომგებიანია, ვიდრე აქამდე იყო.

**გიორგი ნოზაძე**

# სიჩუმობანა

## ახალი იერი: ეროვნულს შემინვას უპირებენ

**კვირაზე** მეტია, ეროვნული სტადიონის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული კონკურსის შედეგი გაცხადდა. „ბორის პაიჭაძეს“ უახლოესი 30 წლის განმავლობაში შპს „დინამო ინვესტი“ უპატრონებს.

არაოფიციალური წყაროებიდან გარკვეული ინფორმაციის მოძიება კი ხერხდება, მაგრამ კონტრაქტორი მხარეები — თბილისის მერია და „დინამო ინვესტი“ ჯერჯერობით დუმილის უფლებას იყენებენ. ამბობენ, მერია ამ საკითხს სპეციალურ ბრიფინგს მიუძღვნის, რომელიც 3 ან 4 მაისს გაიმართება. ამასობაში, გრძელდება მუშაობა მენეჯმენტ-კონტრაქტზე, რომელმაც დეტალურად უნდა განსაზღვროს მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.



ეროვნულ სტადიონზე სამუშაოები კი გრძელდება: კომპანია „ნიუ სიტი“ დემონტაჟითაა დაკავებული და ყოველდღიურად სტადიონიდან ათობით ტონა აყრილი ფილები თუ ასფალტი გააქვთ. საინტერესო კი ის არის, როდის შეცვლის დემონტაჟს სამშენებლო სამუშაოები...

ჯერჯერობით დასრულებული სახით არ არსებობს სტადიონის რეაბილიტაციის პროექტი. ზოგადი მონახაზის მიხედვით კი მისი იერი მნიშვნელოვნად შეიცვლება. ჩაფიქრებულია პირველი იარუსის სიმაღლეზე სტადიონის შემინვა, რაც ერთის მხრივ, თავად სტადიონს გაალამაზებს და მეორეს მხრივ, ტრიბუნებს ქვემოთ შემინული სივრცის სავაჭრო ცენტრად გამოყენების შესაძლებლობას შექმნის. რაც შეეხება უკვე არსებულ ავეჯის ბაზრობას, ეროვნულ სტადიონთან დაძმობილება შვიდობება უახლოეს მომავალში მოუწევს.

**გიორგი ნოზაძე**

# რატომ ხუთი?! ექვსი!



რუსული პრემიერლიგის ორ გრანდში, მოსკოვის „ლოკომოტივში“ და ყაზანის „რუბინში“ — ერთად რვა ქართველი თამაშობს. ეს გუნდები წინა უქმეებზე მოსკოვში შეხვდნენ ერთმანეთს და მატჩიც უცნაური ანგარიშით, 4:4 დაამთავრეს. კიდევ უფრო უცნაური ისაა, რომ წინა დღით „ლოკომოტივ“ — „რუბინის“ დუბლებმაც არ დაინდეს მეკარეები — 5:6, ასე დამთავრდა ის თამაში.

ლაშა სალუქვაძემ „რუბინის“ მთავარ გუნდში ითამაშა, ტრავმამოშუშებულმა რკინიგზელმა მალხაზ ასათიანმა კი — დუბლებში. დანარჩენთაგან ზოგი სათადარიგო იყო, ზოგიც მკურნალობას აგრძელებს.

მოკლედ, „რუბინსაც“ და „ლოკომოტივსაც“ უკვე რა ხანია, „ქართულ“ გუნდებად მივიჩნევთ და მათ მიმართ ჩვენი ყურადღებაც, ცხადია, გასაგები უნდა იყოს...

## ყველაზე ქართული რუსული გუნდის ქართველი დირექტორი ქართველებზე

გიორგი ქინქლაძე, ლაშა სალუქვაძე, მიხეილ აშვეთია, ნუკრი რევიშვილი, ზურაბ არზიანი, რუსთავში დაბადებულ-გაზრდილი ჯამბულატ ბაზაევი და... ირაკლი გეგეჭკორი, „რუბინის“ გენერალური დირექტორი — ესეც ყაზანური კლუბის ქართული სათვისტომო...

— კლუბში კიდევ ორი ქართველია, მაგრამ მათ წმინდა საფეხბურთო საკითხებთან შეხება არ აქვთ — გვითხრა *ირაკლი გეგეჭკორმა* — ყველა რუბინელი ქართველი ნაღდი პროფესიონალია და მათ საწინააღმდეგოდ ენა არავის მოუბრუნდება. გუნდში ახლა ძალიან თბილი კლიმატია, რაც ქართველი ფეხბურთელების დამსახურებაა, ისინი დიდი პატივისცემით სარგებლობენ.

— არადა, ბევრ მწვრთნელს უთქვამს, გუნდში ორი ქართველზე მეტს არ ავიყვან, მერე შეიძლება აურიონო...

— გააჩნია, რა დონისა და როგორი მენტალიტეტის ფეხბურთელს აიყვან. მიმაჩნია, რომ „რუბინში“ სასელექციო სამუშაოები სწორი გზით მიდის. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, „რუბინში“ მოწვეულ ქართველს აერიოს ან ნდობა ვერ გაემართლებინოს. თითოეული ქართველი ფეხბურთელი „რუბინისთვის“ ძვირფასია, ისინი კი საქმით ამტკიცებენ, რომ კარგი ბიჭები და კარგი ფეხბურთელები არიან.

— და მაინც, ხუთი ქართველი ბევრი არ არის?

— რატომ ხუთი?! ექვსი! ჯამბულატ ბაზაევიც ქართველია, ის საქართველოშია გაზრდილი.

— რუსეთის წინა ჩემპიონატის დამთავრებამდე გვითხარით, რომ უეფას თასის საგზურის მოპოვების შემთხვევაში ევროპაში მოთამაშე ქართველთა გადაბირებას შეეცდებოდით...

— დიახ, მაგრამ მერე ამ საქმიდან არაფერი გამოგვივიდა. ისინი ევროპაში თამაშობენ და საკმაოდ დიდი ხელფასები აქვთ. ჩვენ კი ევროპულ სარბიელზე პირველი ნაბიჯები ახლა უნდა გადავდგათ.

— მაშინვე თქვით, რომ „რუბინის“ ბიუჯეტი შესაძლოა 100 მილიონ დოლარამდე გაიზარდოსო. ესეც ვერ მოხერხდა?

— შარშანდელთან შედარებით „რუბინის“ ბიუჯეტი საგრძნობლად გაიზარდა, ფეხბურთელები ყოველმხრივ უზრუნველყოფილნი არიან. ჩათვალეთ, რომ ფინანსურად „რუბინი“ პრემიერლიგის სამ ყველაზე მდიდარ კლუბს შორისაა.

— მაგრამ ქართველების გადაბირებას აღარ აპირებთ...

— როგორც ვიცი, საქართველოს ჩემპიონატში აღარ არიან ისეთი დონის ფეხბურთელები, „რუბინს“ რომ გამოადგნენ.

— ევროპაში?

— ევროპაში უმაღლესი დონის ქართველები თამაშობენ და დღესხვალ მათ გადმობირებას ვერ შევწვდებით. „რუბინმა“ რომ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშოს, თუნდაც ყოველწლიურად უეფას თასზე, მაშინ სხვა საქმე იქნება. ძლიერი ქართველების დამატებაზე „რუბინი“ უარს არ ამბობს.

— ისე, „რუბინში“ ამდენი ქართველია და ძირითადში სტაბილურად მხოლოდ ლაშა სალუქვაძე რატომ თამაშობს?

— იმიტომ, რომ გიორგი ქინქლაძე და მიხეილ აშვეთია ტრავმირებულნი იყვნენ, ნუკრი რევიშვილი და ზურაბ არზიანი კი ჯერ ისეთ ასაკში არიან, მათთვის პრემიერლიგა ადრეა და შესაძლოა ფსიქოლოგიურ დატვირთვას ვერ გაუძლონ. თუმცა „ლოკომოტივთან“ ძირითადმა მეკარე კოლინკომ უხეში შეცდომები დაუშვა და არ გამოვრიცხავ, უახლოეს მატჩში ცეესკასთან მწვრთნელმა რევიშვილი ათამაშოს. მან ბოლო დროს ძალიან მოუმატა.

— ქინქლაძე და აშვეთია?

— ვფიქრობ, ცეესკასთან გიორგი ქინქლაძე ითამაშებს, მიხეილ აშვეთია კი შეიძლება სათადარიგო იყოს. გააჩნია, მწვრთნელი რას იტყვის, ტრავმის შემდეგ ისინი მწვრთნელისთვის სასურველ ფორმაში თუ იქნებიან, ითამაშებენ. ქინქლაძე „რუბინის“ ლიდერი და ქომაგების კერპია, მის გარეშე გუნდს ტაქტიკური ნახაზის შეცვლამაც კი მოუწია.

— წლეულს „რუბინს“ რა მიზნები აქვს?

— აუცილებლად უნდა ვითამაშოთ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე და თუ უფრო შორსაც გავალთ, მით უკეთესი იქნება. პრემიერლიგაში კი ჩვენი მიზანი სამეულია. თუმცა ჩემპიონობამდე თუ მიგვიშვებენ, ამას რა აჯობებს.

— მოკლედ, ამ სეზონში „რუბინში“ ახალ ქართველებს აღარ უნდა ველოდოთ...

— ამ სეზონში არა, მგონი, უკვე საკმარისად ვართ. მერე კი ვნახოთ...

**ჭოგა ინასარიძე**

ნდობის ტელეფონი
(18 წლიდან)
(822) 42-55-44
822 006 005
822 006 099
თბილისი - 0,65 ლ.

# ზიდანი უბანში ბრუნდება

## ნესვით მოგებული ფინალი



**„ფეხბურთს თავს ვანებებ. გადაწყვეტილება დიდი ფიქრის შემდეგ მივიღე. მინდა, მადრიდის „რეალს“ მომავალი სეზონის დაგეგმვაში დავეხმარო, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ჩემი შემცვლელი დროულად უნდა მოძებნონ“ — განაცხადა ზინედინ ზიდანმა საგანგებო პრესკონფერენციაზე 150 ჟურნალისტის თვალწინ. სახელგანთქმული გალი ესპანურად საუბრობდა**

— რას აპირებთ?

— კარგი იქნება თუ ისევ მადრიდის „რეალში“ დავრჩები. პრეზიდენტს უკვე ვესაუბრე და ბავშვთა ფეხბურთთან დაკავშირებული პროექტიც გვაქვს. ჯერ ყველაფერი გარკვეული არ არის, ალბათ „რეალის“ ბავშვთა სკოლაში ვიმუშავებ.

— მსოფლიოში „რეალის“ ელჩი თქვენ იქნებით?

— ამის შესახებ ფლორენტინო პერესს ველაპარაკე, კაცს, რომელმაც მადრიდში მომიყვანა. კლუბსაც უნდა და მეც, რომ „რეალისთვის“ რაღაც სასარგებლო საქმე გაკეთდეს, თუმცა ელჩობაზე მეტად ბავშვთა ფეხბურთზე ვფიქრობ. პირველ გუნდთან მუშაობას მიზნად არ ვისახავ. მსურს, ბავშვებს ის გადავცე, რითაც ფეხბურთმა მე დამაჯილდოვა. ბევრი საქმეა გასაკეთებელი და პატარებსაც ბევრი რამ უნდა ვასწავლო.

— საცხოვრებლად მადრიდში დარჩებით?

— დიახ, აქ ვიცხოვრებ. ვერ გეტყვით, რომ სიცოცხლის ბოლომდე, მაგრამ მადრიდში კარგა ხანს ვაპირებ ყოფნას.

— რა მოგცათ ფეხბურთმა?

— ყველაფერი. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფეხბურთი და ოჯახია. მაქსიმალურად ვეცადე, რომ ხალხს ჩემი თამაშით ესიამოვნა.

— თქვენ ერთხელ უკვე განაცხადეთ საფრანგეთის ნაკრებიდან წასვლის შესახებ და შემდეგ ისევ დაბრუნდით. ახლა თუ არის მსგავსი რამ მოსალოდნელი?

— არა, მაშინდელი სიტუაცია სულ სხვა იყო. „რეალში“ ვთამაშობდი და დაბრუნებაც ადვილი იყო. ახლა კი დიდ ფეხბურთს სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვო. მოყვარულებში გადასვლას ვაპირებ უბნის ჩემპიონატებში რომ ვითამაშო... „რეალში“ სამ მატჩს კიდევ ჩავატარებ და მინდა, კარიერა ღირსეულად დავასრულო. ვგულისხმობ ესპანეთის ჩემპიონატში მეორე ადგილს და მუნდიალზე კარგად გამოსვლას.

— ფეხბურთიდან წასვლის სურვილი ორი წლის წინ „მონაკოსთან“ ჩემპიონთა ლიგაში მარცხის შემდეგ გაგიჩნდათ?

— არა, თანდათანობით მივედი ამ აზრამდე. სამი წელია, მადრიდს არაფერი მოუგია, ენთუზიაზმი დავკარგე... თან 25 წლის ხომ არ ვარ, განუწყვეტლივ ტრავმები მაწუხებს. „რეალში“ ტყუილუბრალოდ გაჩერება არ მსურს. მოგებისთვის ყოველთვის თავდაუზოგავად ვიბრძოდი, ახლა კი კიდევ ერთი წლით „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ჩემი თამაში ვერ წარმომიდგენია.

— მადრიდულ არენაზე თქვენს ბოლო მატჩს როგორ ელოდებით?

— დიდი მღელვარებით. „ვილიარეალთან“ მინდორზე სულს და გულს დავდებ და გავიმარჯვებთ კიდეც, უპირველეს ყოვლისა, ფანების სასიხარულოდ. გარდა ამისა, მე ხომ „ბერნაბეუზე“ სამეფო გუნდის ფორმა ბოლოს უნდა ჩავიცვა.

— შვილებმა რა გითხრეს ფეხბურთიდან წასვლაზე?

— ისინი მამის აზრს ეთანხმებიან.

— რეალთან“ კონტრაქტის განახლებას არ ნანობთ?

— მაშინ ფლორენტინო პერესს ვუთხარი, რომ კონტრაქტის გახანგრძლივება მარტო ერთი წლით მინდოდა. პასუხად მომიგო — „წესით, ასე არ შეიძლება, ორი ან მეტი წლით უნდა განაახლო ხელშეკრულება“. დავუთმე და საბოლოოდ ორწლიანი კონტრაქტი გავაფორმე...

— წლეულს „რეალს“ რაიმე ჯილდო რომ მოეგო, დარჩებოდით?

— აუცილებლად. როცა იმარჯვებ, წასვლაზე აღარ ფიქრობ. აი, როცა ჯილდოები იგვიანებს... მოკლედ, ბოლო ხანებში ჩემი თამაში არ მომწონდა.

— ალბათ, გული გწყდებათ...

— რა თქმა უნდა, ცოტათი. უკვე წარმომიდგენია, მომავალ წელს ოჯახთან და მეგობრებთან ერთად როგორ ვზივარ ტელევიზორთან და „რეალის“ მატჩებს ვუყურებ. ვიცი, გამიჭირდება, თუმცა ადრე თუ გვიან ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება ყველა ფეხბურთელს მოუწევს.

— რას ეტყოდით იმ გულშემატკივრებს, რომელთაც თქვენი დაკარგვა არ უნდათ?

— ყველას მადლობელი ვარ, ვინც კარიერის განმავლობაში მამხნევებდა.

— მთელი მსოფლიო „ლევერკუზენთან“ იმ გრანდიოზული ფინალის გამო გაგიხსენებთ, როცა გლაზგოში თქვენმა გოლმა „რეალს“ ჩემპიონთა თასი მეცხრედ მოაგებინა. თუმცა, იქნებ თქვენს კარიერაში უფრო ბრწყინვალე მომენტიც იყო?

— ცალკეულ ეპიზოდებს ვერ გამოვყოფ. მადრიდში 5 წლის განმავლობაში რაც კარგი იყო, მახსოვს, რაც ცუდი, დიდი ხანია, დავივიწყე. ბედნიერება მერგო წილად, ჩემპიონთა ლიგა „რეალის“ ფორმით მომეგო.

— გლაზგოს ფინალში რობერტო კარლოსის საგოლე პასიც გეხსომებათ...

— რობერტოს სულ ვეუბნები, „ლევერკუზენთან“ ბურთი კი არა, ნესვი გადმომიგდე-მეთქი. ოღონდ, არ დაგავიწყდეთ, რომ პასის ავტორი ბრაზილიელია.

— რონალდინიო ამ ათწლეულის საუკეთესო ფეხბურთელი იქნება?

— რონი ჯადოსნურად თამაშობს და მსოფლიო ამას ხედავს.

— საფრანგეთის ნაკრებს მუნდიალის მოგება თუ შეუძლია?

— ძნელია ამის თქმა, თუმცა ჩვენ კარგი გუნდი გვყავს და მოგებას ვეცდებით.



### ფეხბურთის რუკასთან

**პორტუგალიური** „ბენფიკას“ თავდამსხმელმა სიმაო საბროსამ შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშოს. 26 წლის ფეხბურთელმა მარცხენა ფეხი „ნასიონალთან“ მატჩში იტკინა.

**კოტდივუარელი** ჰაბიბ კოლო ტურეს უმცროსი ძმა იბრაჰიმი ფრანგულ „ნიცაშია“. 20 წლის ფორვარდი დონეცკის „მეტალურგს“ ეკუთვნის, მაგრამ თუ იგი თავს ნიცელებს მოაწონებს, მალე მასთან კონტრაქტს გააფორმებენ.

**გერმანული** „დორტმუნდის“ მცველმა დედემ კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე გაახანგრძლივა. შეგახსენებთ, რომ იგი „ვესტფალენ შტადიონზე“ 1998 წელს „ატლეტიკო მინეიროდან“ გადავიდა. „20 წლის ვიყავი, აქ რომ ჩამოვედი. „დორტმუნდის“ სული ისე მაქვს გამჯდარი, სხვაგან ასე კარგად და მონდომებით ვერ ვითამაშებ“ — აღნიშნა 28 წლის ბრაზილიელმა.

**ფრანგი** ნახევარმცველი იოან მიკუ სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს, რადგან ბრემენის „ვერდერის“ პლეიმეიკერმა გასულ უქმეებზე „შალკესთან“ მატჩში კრისტიან პოულსენს უადგილო ალაგას მოუჭირა ხელი.

**პორტუგალიური** „სპორტინგის“ თავდამსხმელმა რიკარდო მანუელ სილვა სა პინტუმ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, რის მერეც 33 წლის ვეტერანმა განაცხადა, რომ ამ სეზონის ბოლოს კარიერას დაასრულებს. ლისაბონელებს ჩემპიონატში სწორედ ორი თამაში დარჩათ და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვიან.

**გერმანული** „ბოხუმი“, რომელიც მომავალ სეზონში ბუნდესლიგას უბრუნდება, შემადგენლობის გაძლიერებას იწყებს. ბოხუმელებმა ოლივერ შრიოდერთან გააფორმეს ორწლიანი კონტრაქტი. „ჰერტას“ ნახევარმცველი „ბოხუმს“ ამ სეზონის დასრულებისთანავე შეუერთდება.

**რუსული** „სპარტაკის“ თავკაცი ალექსანდრს სტარკოვსი პოსტიდან დაითხოვეს. მის ადგილს დროებით ვლადიმირ ფედოტოვი დაიკავებს, რომელსაც სერგეი როდიონოვი დაეხმარება. „დიდი მადლობა სტარკოვსს სამსახურისთვის. მან კლუბი კრიზისიდან გამოიყვანა და ევროტურნირებზე დააბრუნა, თუმცა ეს სეზონი ძალიან მძიმედ დავიწყეთ და გუნდში შექმნილი დაძაბული ფსიქოლოგიური ფონის გამო ამ გადაწყვეტილების მიღება მოგვიხდა“ — ნათქვამია „სპარტაკის“ ოფიციალურ განცხადებაში.

**გერმანული** „ჰანოვერის“ ფორვარდი თომას კრისტიანსენი ამ სეზონში ველარ ითამაშებს. 33 წლის დანიელს მორიგი ოპერაციის გაკეთება მოუწევს. „ჰანოვერი“ მასთან კონრაქტის გაწყვეტას აპირებს.

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერკი უსტვენს, ბარსა პარიზშია





AFP ბარსელონიდან

**ბარსელონა** *(ესპანეთი)* **0:0 მილანი (იტალია) (1:0)**

**ბარსელონა:** ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი, დეკო, ედმილსონი, ინიესტა, ჟიული (ლარსონი 69), რონალდინიო, ეტოო (ვან ბომელი 69)
**მწვრთნელი:** ფრანკ რაიკარდი
**მილანი:** დიდა, სტამი, კოსტაკურტა (კაფუ 64), კალაძე, სერჟინიო, გატუზო (რუი კოშტა 68), პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ინძაგი (ჯილარდინო 79)
**მწვრთნელი:** კარლო ანჩელოტი
**გაფრთხილება:** კოსტაკურტა, ედმილსონი
**მსაჯი:** მარკუს მერკი (გერმანია)
98 260 მაყურებელი

**ჩემპიონთა ლიგის** მეორე ფინალისტის ვინაობაც გაირკვა — ფრანკ რაიკარდის „ბარსელონა" 17 მაისს პარიზში „არსენალის" წინააღმდეგ ითამაშებს. „მილანმა" კი ნახევარფინალის პირველ შეხვედრაში ლუდოვიკ ჟიულის საბედისწერო გოლს ვერაფერი მოუხერხა. „კამპ ნოუზე" თითქმის მთელი 90 წუთის განმავლობაში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, თუმცა იტალიელებმაც მძაფრი წინააღმდგობა გაუწიეს. მთავარი ამბავი კი 70-ე წუთზე მოხდა, როცა მარკუს მერკმა ანდრეი შევჩენკოს გოლი არ ჩაუთვალა. მსაჯის მოეჩვენა, რომ უკრაინელმა დარტყმის მომენტში კარლეს პუიოლის წინააღმდეგ დაარღვია თამაშის წესი... შევჩენკოს სასოწარკვეთილი პროტესტი მარკუს მერკმა ცივად აირეკლა, ხოლო ამ შედეგით მიზანს ბარსელონელებმა მიაღწიეს. კატალონიური გრანდი პარიზში ჩემპიონთა თასის მეორედ მოსაპოვებლად იბრძოლებს.

პირველი სახიფათო შეტევა „მილანმა" გაახერხა. იაპ სტამის ჩაწოდების შემდეგ კაკამ ჯოვანი ვან ბრონკჰორსტს დაასწრო და კინაღამ ადრეული გოლი შეაგდო ვალდესის კარში. აპენინელთა იერიშს მასპინძლები უმალ გამოეხმაურნენ — სამუელ ეტოომ კოსტაკურტას გვერდით ჩაუქროლა და დიდას დროული გამოსვლა რომ არა, აფრიკელი ტაბლოზე 1:0-ს აანთებდა. მალე ისევ ეტოომ შეუტია, მისი დარტყმის მოგერიება დიდამ კარგად ვერ შეძლო, თუმც კარში მიმავალ ბურთს კოსტაკურტამ მიუსწრო.

სტუმართაგან, ვირუსული ინფექციისგან ახლახან თავდახსნილი ფილიპო ინძაგი გამოირჩეოდა. ერთ-ერთ ეპიზოდში პიპოს ვალდესის კარში გატანა შეეძლო, თუმცა მექსიკელი რაფა მარკესი გადაეღობა...

შეხვედრამდე „როსონერის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ სევდიანად აღნიშნა, რონალდინიოს ჩაკეტვა შეუძლებელიაო. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელს მეტოქის მცველები თავს დაჰკანკალებდნენ, კიჟამ მაინც მოახერხა მათგან დასხლტომა და მეოცე წუთზე დიდა სახიფათო დარტყმით შეაშფოთა. რონის იერიშს შევჩენკოსა და ინძაგის საპასუხო ვიზიტები მოჰყვა, თუმც მიზანს ვერც იტალიელებმა მიაღწიეს. შესვენებამდე „როსონერის" დაცვაში კარგად მოთამაშე ჩვენებურ კალაძეს და მის მეგობრებს ჟულიანო ბელეტის და ლუდოვიკ ჟიულის შეტევების მოგერიებაც მოუხდათ.

ტაიმთაშორისის შემდეგ თამაშის სურათი შეიცვალა. იერიშებზე „მილანი" გადავიდა, ხოლო რაიკარდის ბიჭები ძირითადად დაცვით იყვნენ დაკავებულები. მატჩის განახლებიდან ოთხ წუთში შევჩენკომ კლარენს ზეედორფის პასს ეშხიანი თავური დაჰკრა, თუმც ვიქტორ ვალდესმა პოზიცია სწორად შეარჩია და „ბარსა" გადაარჩინა. რონალდინიოს კონტრიერიშებიც არანაკლებ ეფექტური იყო. ჯადოსნურმა ბრაზილიელმა ორჯერ ჟიულის მისცა საოცარი პასი და მერე დიდას ოსტატობა შეამოწმა საჯარიმო დარტყმით.

მატჩის მიწურულს ალბათ, „მილანის" ტიფოზთა მრავალრიცხოვანმა არმიამ სიხარულით შეჰბლავლა, როცა ანდრეი შევჩენკომ კარლეს პუიოლი ჩამოიცილა და „ბარსას" თავურით შეუგდო. ეს თითქოს „მილანის" ხსნას ნიშნავდა, თუმცა მსაჯმა უკრაინელი, პუიოლის წაქცევისთვის დააჯარიმა და გოლი გააუქმა.

ამის შემდეგ ანგარიშის გახსნა უფრო მასპინძლებს შეეძლოთ. „მილანი" თავის გადასარჩენად ვალდესის კარს ერთიანად მიაწყდა და კატალონიელებმაც სცადეს, მოწინააღმდეგის დაცვაში გაჩენილი ნაპრალებით ესარგებლათ. ლარსონის თავური დარტყმა დიდამ რაღაც სასწაულით აუღო, ხოლო შემდეგ დეკომ და რონალდინიომ ვერ გაიტანეს. საბოლოოდ ისევ 0:0 და ბარსელონური ინჩადაც „ლა რამბლას" მოედანზე დიდ გამარჯვებას მთელი ღამე ზეიმობდა — ხუმრობა საქმე როდია, მათი საყვარელი გუნდი 12 წელია, ლიგის ფინალში არ ყოფილა. ის, 1994 წლის ათენური ჯახი კი „ბარსელონამ" 4:0 სწორედ „მილანთან" წააგო.

**ლადო ხომერიკი**

## ნათქვამია მატჩის შემდეგ

### ფრანკ რაიკარდი



**— თქვენი გუნდის თამაშს როგორ შეაფასებდით?**

— დიდი სამუშაო შევასრულეთ. ყველამ თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი გაიღო, რათა ფინალში გავსულიყავით. ძალიან კმაყოფილი ვარ.

**— თუ „ბარსა" ფინალში გაიმარჯვებს, იმ რჩეულთა რიგებში მოხვდებით, რომელთაც ჩემპიონთა თასი ფეხბურთელობისა და მწვრთნელობის დროსაც მოუგიათ...**

— არ მინდა, ჩემზე ვიფიქრო. მარტო ვერასდროს ვერაფერს მოიგებ. გამარჯვებას გუნდი მხოლოდ კოლექტიური შრომის შედეგად მოიმკის. მოგება და წაგება ყველაზე თანაბრად ნაწილდება. ფეხბურთს, სხვანაირად, მაღალ დონეზე ვერ ითამაშებ.

**— „ბარსას" დღეს ძალიან გაუჭირდა?**

— „მილანი" შეტევაზე უნდა წამოსულიყო. იტალიელებს გოლი სჭირდებოდათ და ჩვენც რიგ ეპიზოდებში მწვავე იერიშების მოგერიება მოგვიხდა, თუმცა არც „ბარსელონას" კონტრშეტევები იყო ურიგო.

**— მთლიანად, თამაშზე რას იტყვით?**

— პირველი ტაიმი ძალიან საინტერესო იყო, საგოლე ეპიზოდები გვქონდა, თუმცა „მილანის" ფორვარდებსაც ხშირად ვხედავდით ჩვენს კართან. მატჩის ბოლოს ოდნავ გაგვიჭირდა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა.

**— ანდრეი შევჩენკომ გოლი გაიტანა, რომელიც არ ჩაუთვალეს...**

— გოლი მსაჯმა გააუქმა და ამ გადაწყვეტილებას ახსნას თავადვე მოუძებნის.

### კარლო ანჩელოტი



**— ფიქრობთ, რომ „მილანმა" ნახევარფინალის მეორე მატჩი პირველზე უკეთესად ითამაშა?**

— გულწრფელად ვამბობ — ორივე მატჩი ერთნაირად ვითამაშეთ, ოღონდ ბედმა „ბარსას" გაუღიმა.

**— რა მოხდა შევჩენკოსა და პუიოლის ეპიზოდის დროს?**

— ვერ გეტყვით ნამდვილად, მსაჯმა იქ რა დარღვევა დაინახა. შევამ გოლი წესების სრული დაცვით შეაგდო და პუიოლს არც შეხებია.

**— მარკუს მერკს რომ გოლი ჩაეთვალა, ფინალში „მილანი" გავიდოდა?**

— ალბათ, ყველაფერი შეიცვლებოდა. თუმც ვაღიარებ, რომ „ბარსამ" უკეთესად ითამაშა, ძლიერად და თავდადებით.

**— ნახევარფინალი ჩემპიონთა თასის მომავალ მფლობელთან წააგეთ?**

— „ბარსა" მოედნის ყველა რგოლში ძლიერია. ფინალამდე კატალონიელები დამსახურებულად მივიდნენ და ვფიქრობ, თასსაც მოიგებენ.

**— ამ სეზონში თქვენი გუნდის თამაშს როგორ შეაფასებდით?**

— კარგი სეზონი იყო. სუსტად არც ერთ ტურნირში არ გამოვსულვართ და იტალიის ჩემპიონატის მოგება კიდევ შეგვიძლია.



# მსოფლიოს თასი

## გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

## F ჯგუფი

## ბრაზილია, ხორვატია ავსტრალია, იაპონია

# ზიკოპონია



ზიკო

**იაპონია** ზედიზედ მესამედ ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატზე. 1998 წელს საფრანგეთში მათ ჯგუფში სამივე მატჩი წააგეს, 2002-ში კი, როცა ჩემპიონატი კორეა-იაპონიაში იყო, მერვედფინალში გავიდნენ და თურქეთთან 0:1 დამარცხდნენ. მაშინ მწვრთნელად ფილიპ ტრუსიე ჰყავდათ, რომლის ხელშიც გუნდი ყველასთვის ანგარიშგასაწევი გახდა. ტრუსიესგან იაპონია ზიკომ ჩაიბარა და 2004-ში აზიის ჩემპიონატი მოიგო.

გერმანიისკენ მიმავალ გზაზე იაპონელებმა პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი ღიღინით გაიარეს, რადგან ჯგუფში სუსტი მეტოქეები შეხვდნენ. ექვსივე შეხვედრაში იოლად იმარჯვეს და მხოლოდ ერთი გოლი გაუშვეს.

მომდევნო საკვალიფიკაციო ჯგუფში იაპონელთა მთავარი კონკურენტი ირანი იყო, რომელთანაც სტუმრად წააგეს, მაგრამ შინ მოუგეს. პირველ ადგილზე გავიდნენ და გერმანიის საგზურის მაძიებლებთა შორის პირველებმა გაიფორმეს მუნდიალის ვიზა.



მიამოტო

* * *

*მწვრთნელი:* არტურ ანტუნეშ კოიმბრა, იგივე ზიკო — ლეგენდარული ბრაზილიელი. დაიბადა 1953 წლის 3 მარტს რიო დე ჟანეიროს გარეუბან კუინიტოში და რომ წამოიზარდა, რასაკვირველია, ბურთს დაუმეგობრდა. მისი თამაში რადიოს კორესპონდენტს, სელსო გარსიას უნახავს და „ფლამენგოში" მიუყვანია, სადაც გაიბრწყინა კიდეც. ამის დასადასტურებლად ერთ ფაქტს მოვიყვანთ: 731 მატჩი ითამაშა „ფლამენგოში", 508 გოლი გაიტანა და კლუბის ისტორიაში საუკეთესო მეგოლე გახდა. გარდა ამისა, მან ერთ სეზონში, 1976 წელს, 56-ჯერ გაამწარა მეტოქეები და ესაც რეკორდია.

1983 წელს „ფლამენგოს" ქომაგებს გული დასწყვიტა და „უდინეზეში" გადავიდა. მაშინ „იუვეში" პლატინი, „ნაპოლიში" კი მარადონა ბრწყინავდნენ. პირველივე სეზონში 19 გოლი შეაგდო და ერთით ჩამორჩა ჩემპიონატის ბომბარდირ პლატინის, თუმც ზიკომ ფრანგზე ექვსი მატჩით ნაკლები ითამაშა. ორი სეზონი დაჰყო უდინეში და მერე „ფლამენგოში" დაბრუნდა.

მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატზე საფრანგეთთან მეოთხედფინალურ მატჩში, ძირითად დროში თერთმეტმეტრიანი ვერ გაიტანა, მაგრამ მატჩისშემდგომ პენალტების სერიაში მაინც შეაგდო, თუმც ბრაზილიამ წააგო. ზიკოს ეროვნულ ნაკრებში 88-ჯერ უთამაშია და 66 გაუტანია.

„ფლამენგოდან" იაპონიაში წავიდა და კარიერა „კაშიმა ანთლერზში" გააგრძელა. იქაც საუცხოოდ ითამაშა და 88 მატჩში 54 გოლი მიითვალა. მას ეკუთვნის ჯეი-ლიგის რეკორდიც — ზედიზედ ათ შეხვედრაში გატანილი 11 გოლი. იაპონელებმა გარჯა დაუფასეს და 2002-ში ნაკრები ჩააბარეს. თავიდან საქმე ვერ ააწყო და წასვლაც კი დააპირა ინგლისში, სადაც მოყვარული კლუბი „გარფორთ თაუნი" ეპატიჟებოდა, მაგრამ არ გაუშვეს. ის კი ცნობილია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ იაპონიის ნაკრებს დატოვებს.

* * *

***კაპიტანი და საკვალიფიკაციო ეტაპის ვარსკვლავი:*** ცუნეიასუ მიამოტო 1977 წლის 7 თებერვალს ოსაკაში დაიბადა. მაღალი კლასის ცენტრალური მცველია, რომლის კარგი თამაშის წყალობით იაპონიამ თორმეტ საკვალიფიკაციო მატჩში ხუთ გოლზე მეტი არ გაუშვა. ამიტომაც ჩააბარა ზიკომ მას კაპიტნის სამკლავური. სანამ პროფესიონალი გახდებოდა დოშიშას უნივერსიტეტის გუნდში თამაშობდა, ახლა კი „გამბა ოსაკას" ფეხბურთელია.

* * *

***ახლანდელი ვარსკვლავი:*** შინჯი ონო 1979 წლის 27 სექტემბერს შიზუოკაში დაიბადა. იაპონიაში მას „ტენსაის" ანუ გენიოსს ეძახიან, რადგან რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაში: პლეიმეიკერად, საყრდენ ნახევარმცველად და ორივე ფლანგზე. 1999 წელს, მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ევროპული კლუბების ყურადღება მიიპყრო. მაშინ „ურავა რედზში" თამაშობდა, 2001-ში კი როტერდამის „ფეიენოორდმა" იყიდა. პირველივე სეზონში მოიგო უეფას თასი და „ფეიენოორდის" ფანებს თავი შეაყვარა. თუმც მერე ტრავმებმა დატანჯა 2004-2005 წლების სეზონი ფაქტობრივად, გაუცდა. რაკი ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდებოდა კლუბმა მისი გაყიდვა გადაწყვიტა და 2006-ის იანვარში „ურავა რედზს" დაუბრუნდა.

* * *

\+ გუნდის უძლიერესი რგოლი ნახევარდაცვაა. ნაკატა-ნაკამურა-ინამოტო-ონოს ოთხეული როცა ფორმაშია, უსწრაფესად შეუძლიათ შეტევაში გადასვლა.

* * *

— მაღალი კლასის ფორვარდების ნაკლებობა

* * *

*აზრი:* „ტრუსიეს წასვლის შემდეგ ნაკრებს უკეთესობა არ ეტყობა, მაგრამ ფული თუ გაქვთ, დადეთ ჯგუფიდან იაპონიის გასვლაზე, მერე კი მოგებული თანხა — მერვედფინალში იაპონიის წაგებაზე". ჯეიმს მულიგანი, „ჯაპან თაიმზის" ჟურნალისტი.



შინჯი ონო

## იაპონიის ნაკრების ჯგუფური მატჩების განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 12 ივნისი | ავსტრალია — იაპონია | კაიზერსლაუტერნი |
| 18 ივნისი | იაპონია — ხორვატია | ნიურნბერგი |
| 22 ივნისი | იაპონია — ბრაზილია | დორტმუნდი |

## იაპონიის გზა ფინალური ეტაპისკენ

I საკვალიფიკაციო წრე. III ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 18.02.2004 | იაპონია — ომანი | 1:0 |
| 31.03.2004 | სინგაპური — იაპონია | 1:2 |
| 09.06.2004 | იაპონია — ინდოეთი | 7:0 |
| 08.09.2004 | ინდოეთი — იაპონია | 0:4 |
| 13.10.2004 | ომანი — იაპონია | 0:1 |
| 17.11.2004 | იაპონია — სინგაპური | 1:0 |

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | 6 | 6 | 0 | 0 | 16:1 | 18 |
| ომანი | 6 | 3 | 1 | 2 | 14:3 | 10 |
| ინდოეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 2:18 | 4 |
| სინგაპური | 6 | 1 | 0 | 5 | 3:13 | 3 |

II საკვალიფიკაციო წრე. B ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 09.02.2005 | იაპონია — ჩრდ. კორეა | 2:1 |
| 25.03.2005 | ირანი — იაპონია | 2:1 |
| 30.03.2005 | იაპონია — ბაჰრეინი | 1:0 |
| 03.06.2005 | ბაჰრეინი — იაპონია | 0:1 |
| 08.06.2005 | ჩრდ. კორეა — იაპონია | 0:2 |
| 17.08.2005 | იაპონია — ირანი | 2:1 |

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | 6 | 5 | 0 | 1 | 9:4 | 15 |
| ირანი | 6 | 4 | 1 | 1 | 7:3 | 13 |
| ბაჰრეინი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:7 | 4 |
| ჩრდ. კორეა | 6 | 1 | 0 | 5 | 5:11 | 3 |

# სკოლარი სასტუმროში დაიჭირეს

**ინგლისის** ნაკრების მწვრთნელი ალბათ, ლუიშ ფელიპე სკოლარი გახდება. გუშინ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის შეფი ბრაიან ბერვიკი და იურისტი საიმონ ჯონსონი ლისაბონში იყვნენ. გაზეთი „სანი“ ამტკიცებს, რომ ბერვიკი და ჯონსონი სასტუმრო „შერატონში“ შეხვდნენ სკოლარის და ნაკრების მწვრთნელობა ოფიციალურად შესთავაზეს, რაზეც ბრაზილიელის თანხმობა მიიღეს.

პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჟილბერტო მადაილი „სანის“ ინფორმაციას მონაჩმახს უწოდებს, მაგრამ ფაქტია, რომ ბერვიკი და ჯონსონი ლისაბონში ნახეს. იმასაც ამბობენ, ასოციაციის შეფი პორტუგალიაში დარჩა, რათა ბრაზილიელთან კონტრაქტის დეტალები შეათანხმოსო, ხოლო ასოციაციის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, სკოლარისთან შეხვედრაზე ნებართვა პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციისგან ოფიციალურად მივიღეთო.

გარიგება თუ შედგა, ბრაზილიელს წელიწადში 5 მილიონ გირვანქას ჩაუთვლიან, ოღონდ ჯერ დასაზუსტებელია, რამდენწლიან კონტრაქტს დაყაბულდება სკოლარი.

საქმე იქითკენ მიდის, რომ ინგლისს კვლავ არ ეყოლება ინგლისელი მწვრთნელი. ლუიშ ფელიპე სკოლარის კონტრაქტი პორტუგალიელებთან 31 ივლისს იწურება.



სკოლარი ინგლისელებს ვერ დაემალა

# რეალს MONTEJANO ჩაუსხეს



მონტეხანო და მარტინი

**„რეალის“** პრეზიდენტი ფერნანდო მარტინი გადადგა. ის თანამდებობაზე ორი თვეც არ ყოფილა. გადადგომის მიზეზი მარტივია: ოთხშაბათ საღამოს გამართული კამათისას მარტინს კლუბის დირექტორატმა არ დაუჭირა მხარი. 19 წევრისგან შემდგარმა დირექტორატმა აგრეთვე დაადგინა, რომ მომავალი პრეზიდენტის ვინაობა გაირკვევა არჩევნების გზით, მანამდე კი საქმეს 83 წლის ლუის გომეს მონტეხანო ჩაიბარებს.

შეგახსენებთ, რომ ფერნანდო მარტინი არჩევნების გზით მისული პრეზიდენტი არ ყოფილა, მან თებერვალში გადამდგარი ფლორენტინო პერესი შეცვალა. მარტინი პერესის პრეზიდენტობისას ვიცე-პრეზიდენტი იყო.

მარტინის პრეზიდენტობის პერიოდში ყველაზე მძაფრი ამბავი ორი კვირის წინ მოხდა, როდესაც მან „რეალ სოსიედადთან“ ფრის შემდეგ „გალაქტიკოს“ ფეხბურთელებს ორნახევარი დღით ადრე უბრძანა საწვრთნელ ბაზაზე გამოცხადება და ოფლის მოდენა.

ახლა კი იმის შესახებ თუ ვინ არის ბერიკაცი გომეს მონტეხანო, რომელმაც პრესკონფერენციაზე განაცხადა, თავს ახლგაზრდად ვგრძნობო.

„მე ესპანელი, მადრიდელი და მადრიდისტი ვარ — თქვა გომეს მონტეხანომ — „რეალის“ ქომაგობა ჩემი მოწოდებაა, კლუბის წევრი გახლავართ 1957 წლიდან და დღეს დირექტორად ჩემზე ხანდაზმული არავინაა“.

მის ნათქვამს ჩვენ დავამატებთ, რომ „რეალის“ დროებითი პრეზიდენტი ახალგაზრდობაში პარიზში სწავლობდა, მისი პირველი ბიზნესი სასტუმროებს ეხებოდა, მუშაობდა ბანკშიც, მაგრამ შემდეგ ყველაფერს ავტოგასამართი სადგურების ქსელის შექმნა და ბენზინის მოტანილი სიმდიდრე ამჯობინა. მის კომპანიას ჰქვია **MONTEJANO S. A.**

აღსანიშნავია, რომ გაისად ანუ 2007 წელს ლუის გომეს მონტეხანოს „რეალში“ ყოფნის 50 წელთან დაკავშირებით ოქროს მედალს გადასცემენ.

დროებითი პრეზიდენტი ქვრივია, ჰყავს სამი შვილი და ათი შვილიშვილი.

**პაპუნა ბედია**




მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული

ერთადერთი კლინიკა ამიერკავკასიაში

ხელმძღვანელი პროფ. თამაზ თამაზაშვილი

• უახლესი ავტომატური ამერიკული ტექნოლოგიები
• უფასო კონსულტაცია, მათ შორის პროფესორის კონსულტაცია ამერიკიდან
• თმის დაზიანებათა კომპიუტერული დიაგნოსტიკა
• გარანტირებული შედეგები
• შესაძლებელია თმის გადანერგვა ნაწიბურებში ტრავმისა და დამწვრობის შემდეგ
• კონფიდენციალურობა

ჰეალაინ ინტერნეიშნლ

თმის აღდგენითი მედიცინის სამკურნალო სამეცნიერო ცენტრი

ქავთარაძის 16 (სამკურნალო კომბინატი)

ტელ: 30 00 30; (893)62 32 62



www.hairline.ge


## ინგლისი

### პრემიერლიგა XXXVI ტური

**ვესტ ჰემი 1:2 ლივერპული**

0:1 სისე (19), 1:1 რეო-კოკერი (46), 1:2 სისე (54)

ვესტ ჰემი: უოლკერი, უორდი, ე. ფერდინანდი, მალინსი, ჯ. კოლინზი (კ. ფლეტჩერი 46), ბენაიუნი (შერვუდი 77), ეზერინგტონი, რეო-კოკერი, სკალონი, შერინგემი, ზამორა

მწვრთნელი: ალან პერდიუ

ლივერპული: დუდეკი, ფინანი (შიიპია 63), კარაგერი, კრომკამპი, ჯ. ტრაორე, სისოკო, ჰამანი, უორნოკი, ჯ. სისე, მორიენტესი (რიისე 85), ფაულერი (ლუის გარსია 80)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაძევება: მალინსი (82), ლუის გარსია (82)

მსაჯი: ვები

34 852 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 35 | 28 | 4 | 3 | 69:21 | 88 |
| მანჩესტერი | 35 | 24 | 7 | 4 | 68:31 | 79 |
| ლივერპული | 36 | 23 | 7 | 6 | 51:23 | 76 |
| ტოტენჰემი | 36 | 17 | 11 | 8 | 51:36 | 62 |
| არსენალი | 35 | 17 | 7 | 11 | 58:28 | 58 |
| ნიუკასლი | 36 | 16 | 6 | 14 | 46:42 | 54 |
| ბლექბერნი | 35 | 16 | 6 | 13 | 46:42 | 54 |
| ბოლტონი | 35 | 14 | 10 | 11 | 47:39 | 52 |
| უიგანი | 36 | 15 | 6 | 15 | 42:46 | 51 |
| ვესტ ჰემი | 36 | 14 | 7 | 15 | 50:54 | 49 |
| ჩარლტონი | 36 | 13 | 8 | 15 | 41:49 | 47 |
| ევერტონი | 35 | 13 | 6 | 16 | 29:45 | 45 |
| სიტი | 35 | 13 | 4 | 18 | 41:41 | 43 |
| მიდლსბრო | 34 | 12 | 7 | 15 | 47:55 | 43 |
| ფულემი | 35 | 12 | 6 | 17 | 44:55 | 42 |
| ასტონ ვილა | 36 | 9 | 12 | 15 | 39:51 | 39 |
| პორტსმუთი | 36 | 9 | 8 | 19 | 34:58 | 35 |
| ბირმინგემი | 36 | 8 | 9 | 19 | 28:49 | 33 |
| ვესტ ბრომვიჩი | 36 | 7 | 8 | 21 | 29:55 | 29 |
| სანდერლენდი | 34 | 2 | 5 | 27 | 21:61 | 11 |

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა XXVII ტური

სიგმა — სლოვაცკო 1:1; პლზენი — ბრნო 2:1; პრჟიბრამი — მოსტი 1:0; სლავია — ლიბერეცი 1:3; ტეპლიცე — ბლშანი 2:1; ზლინი — იჰლავა 1:1; იაბლონეცი — ბანიკი 1:2; ბოლესლავი — სპარტა 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 27 | 16 | 9 | 2 | 39:17 | 57 |
| ბოლესლავი | 27 | 14 | 6 | 7 | 41:30 | 48 |
| ტეპლიცე | 27 | 11 | 14 | 2 | 33:20 | 47 |
| სლავია | 26 | 11 | 9 | 6 | 43:32 | 42 |
| სპარტა | 27 | 12 | 5 | 10 | 39:34 | 41 |
| სიგმა | 27 | 10 | 6 | 11 | 33:37 | 36 |
| ზლინი | 27 | 8 | 10 | 9 | 24:28 | 34 |
| მოსტი | 27 | 10 | 4 | 13 | 27:33 | 34 |
| პრჟიბრამი | 27 | 8 | 9 | 10 | 34:31 | 33 |
| ბანიკი | 26 | 8 | 9 | 9 | 24:26 | 33 |
| იაბლონეცი | 27 | 9 | 6 | 12 | 32:37 | 33 |
| სლოვაცკო | 27 | 6 | 11 | 10 | 24:28 | 29 |
| პლზენი | 27 | 6 | 10 | 11 | 27:34 | 28 |
| ბრნო | 25 | 5 | 12 | 8 | 25:27 | 27 |
| იჰლავა | 27 | 5 | 11 | 11 | 17:29 | 26 |
| ბლშანი | 27 | 4 | 11 | 12 | 18:37 | 23 |

## ამხანაგური მატჩი

**ტრინიდადი 4:1 გრენადა**

## უკრაინა

### უმაღლესი ლიგა გადადებული მატჩი

**სტალი 0:0 დნიპრო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 27 | 22 | 4 | 1 | 63:17 | 70 |
| შახტარი | 27 | 21 | 5 | 1 | 57:11 | 68 |
| ჩერნომორეცი | 27 | 13 | 5 | 9 | 35:27 | 44 |
| ილიჩევეცი | 27 | 11 | 7 | 9 | 25:28 | 40 |
| მეტალურგი (დ) | 27 | 10 | 8 | 9 | 31:27 | 38 |
| მეტალისტი | 27 | 10 | 7 | 10 | 31:34 | 37 |
| მეტალურგი (ზ) | 27 | 10 | 5 | 12 | 28:36 | 35 |
| დნიპრო | 27 | 8 | 10 | 9 | 25:23 | 34 |
| ტავრია | 27 | 10 | 4 | 13 | 27:30 | 34 |
| ხარკოვი | 27 | 9 | 6 | 12 | 29:32 | 33 |
| ვორსკლა | 27 | 7 | 10 | 10 | 24:31 | 31 |
| კრივბასი | 27 | 8 | 6 | 13 | 24:30 | 30 |
| სტალი | 27 | 7 | 9 | 11 | 23:38 | 30 |
| ვოლინი | 27 | 8 | 5 | 14 | 28:43 | 29 |
| არსენალი | 27 | 7 | 7 | 13 | 22:34 | 28 |
| ზაკარპატია | 27 | 3 | 6 | 18 | 15:46 | 15 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა გადადებული მატჩები

**ქსამაქსი 0:1 ციურიხი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 31 | 20 | 9 | 2 | 75:35 | 69 |
| ციურიხი | 32 | 19 | 9 | 4 | 75:33 | 66 |
| გრასჰოპერი | 32 | 13 | 12 | 7 | 43:30 | 51 |
| იანგ ბოისი | 31 | 13 | 11 | 7 | 49:41 | 50 |
| თუნი | 32 | 13 | 7 | 12 | 45:46 | 46 |
| სენტ გალენი | 32 | 9 | 7 | 16 | 47:53 | 34 |
| შაფჰაუზენი | 32 | 7 | 10 | 15 | 30:46 | 31 |
| ივერდონი | 32 | 9 | 4 | 19 | 34:53 | 31 |
| აარაუ | 32 | 7 | 9 | 16 | 27:60 | 30 |
| ქსამაქსი | 32 | 7 | 6 | 19 | 38:66 | 27 |

## დანია

### სუპერლიგა გადადებული მატჩი

**ნორდსიელანდი 1:1 კოპენჰაგენი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 29 | 21 | 6 | 2 | 59:23 | 69 |
| ბრონდბიუ | 29 | 20 | 3 | 6 | 55:27 | 63 |
| ოდენსე | 29 | 14 | 7 | 8 | 43:27 | 49 |
| ვიბორგი | 29 | 13 | 8 | 8 | 54:40 | 47 |
| ესბიერგი | 29 | 11 | 5 | 13 | 39:39 | 38 |
| მიდტიულანდი | 29 | 9 | 9 | 11 | 38:47 | 36 |
| ნორდსიელანდი | 29 | 8 | 11 | 10 | 45:47 | 35 |
| ოლბორგი | 29 | 7 | 12 | 10 | 41:42 | 33 |
| სილკებორგი | 29 | 9 | 6 | 14 | 27:44 | 33 |
| ჰორსენსი | 29 | 6 | 13 | 10 | 24:36 | 31 |
| სიონდერისკე | 29 | 4 | 8 | 17 | 36:64 | 20 |
| ორჰუსი | 29 | 3 | 10 | 16 | 33:58 | 19 |

## შვედეთი

### ალსვენსკა. V ტური

ელფსბორგი — ჰეკენი 2:2; ჰალმსტადი — გაის 0:0; კალმარი — მალმიო 0:0; გეფლე — ჰელსინგბორგი 1:0; გიოტებორგი — ჰამარბი 1:2; იოსტერსი — იორგრიტე 0:0; აიკ — იურგორდენი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიკ | 5 | 3 | 2 | 0 | 12:5 | 11 |
| ჰამარბი | 5 | 3 | 2 | 0 | 8:4 | 11 |
| ელფსბორგი | 5 | 3 | 2 | 0 | 9:6 | 11 |
| გაის | 5 | 2 | 2 | 1 | 4:2 | 8 |
| იურგორდენი | 5 | 2 | 2 | 1 | 3:3 | 8 |
| ჰეკენი | 5 | 1 | 3 | 1 | 7:4 | 6 |
